



ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საპრეზიდო



დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 21-83

“ 12 – ” აგვისტო – 2015 წ

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099) და დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა, ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის
დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის
№20-105დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქ. თბილისის
საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით

1. გადაწყვეტილების მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარეგეული (მათ შორის ტექნიკური) ცვლილებების შეტანის საკითხი. ქვემოთჩამოთვლილი ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხები (1 წინადადება) განხილულია და რეკომენდირებულია “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს” მიერ.

2. გადაწყვეტილების მიღების მიზანია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება და მისი შემდგომი სრულყოფა.

3. გადაწყვეტილების ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:


წარმოდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე – რუკაზე არსებული ფუნქციური ზონების ცვლილება 1 ერთეულ შემთხვევაში ქვემოთჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით:

12. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირის #1-ში (ნაკვეთი #05/027), არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.14.005.027), (1173 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატარნსპორტო ზონა 1-სა და სარეკრეაციო ზონა 2-სშორის.

სატარნსპორტო ზონა 1 იცვლება სარეკრეაციო ზონა 2-ით. (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს” 2015 წლის ოქმი №30), მოქ. ლ. აბაშიძე. AR1324841.

ОБІГУХ ОДАЧОВИХ

Інформація про



Схід

Південь

Захід


Північ

Схід

Південь

Захід

Північ



1:30 000